საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და
ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

27/05/2022
N 859

859-09-02-11-3-202205271452

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო

და საქმისწარმოების დეპარტამენტის უფროსს

ბატონ გიორგი ბერიძეს

დ ა ს კ ვ ნ ა

პეტიციის განაცხადზე „აჭარის მუნიციპალიტეტების ცენტრებში თავისუფალი სივრცეების მოწყობის თაობაზე“

(N09-02-13 ქ/231,06.04.2022წ. პეტიციის ავტორი: მაგდა ქათამაძე)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტმა მიმდინარე წლის 27 მაისის სხდომაზე განიხილა მაგდა ქათამაძის მიერ წარმოდგენილი პეტიცია (თან ახლავს 210 მოქალაქის ხელმოწერა) „აჭარის მუნციპალიტეტების ცენტრებში თავისუფალი სივრცეების მოწყობის თაობაზე“.

როგორც პეტიციის ავტორი აღნიშნავს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებში, გარდა ქალაქ ბათუმისა, არ არსებობს სივრცე, რომელშიც დაინტერესებულ პირებს ექნებათ შესაძლებლობა გამართონ სხვადასხვა სახის შეხვედრები, ჩაატარონ ტრენინგები, სემინარები, მოაწყონ კინო-ჩვენებები სხვადასხვა ასაკობრივი თუ მიზნობრივი ჯგუფებისათვის.

პეტიციის ავტორი ითხოვს - შეიქმნას ისეთი ნეიტრალური სივრცე, რომელიც მისცემს შესაძლებლობას ორგანიზაციებს გამართონ კულტურულ/საგანმანათლებლო აქტივობები.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 140[1] მუხლის მე-7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად კომიტეტმა მიიღო შემდეგი გადაწყვეტილებები :

1. მოსაზრებებისათვის, აღნიშნული პეტიცია გადაეგზავნოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებს;

2. ეთხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, 1 თვის ვადაში პასუხი აცნობოს პეტიციის ავტორსა და კომიტეტს.

მარინე გვიანიძე



კომიტეტის თავმჯდომარე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო